ჩემპიონი არიგებს ქულებს

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 20 ივნისი. მზიანი ამინდი. 23 გრადუსი. 40 000 მაყურებელი.

“დინამო” (თბილისი) - “შახტიორი” (დონეცკი) 1:1 (1:0).

გოლები გაიტანეს - ბარქაია (“დინამო”) (25), ზუბკოვი (“შახტიორი”) (46)

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი (მაისურაძე - 46), ბარქაია, მეტრეველი, მესხი.

“შახტიორი”: კოროტკიხი, სოროკინი, სნეგირიოვი, ცუნინი, ზუბკოვი, მეშჩერიაკოვი, მიზერნი, ანდრიენკო (გოლოვკო - 46), ევსეენკო, როდინი, პილიპჩუკი.

მსაჯი ა. მენშიკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:1 “დინამოს” სასარგებლოდ. გოლები გაიტანეს — მაისურაძემ და ილიადიმ (“დინამო”) და შალიჩევმა — “შახტიორი”.

ამრიგად, განვლო საკავშირო პირველობის კიდევ ერთმა ტურმა და თბილისის დინამოელებმა თავიანთ პასივს საკუთარ მინდორზე კიდევ 1 დაკარგული ქულა მიუმატეს. სადღეისოდ, როგორც ხედავთ, ჩემპიონის საერთო დანაკარგმა 7 ქულას მიღწია.

ჩვენს გუნდს მუდამ აყვედრიდნენ მეტოქეთა სტადიონებზე ცუდად თამაშს, რაც მას უკურნებელ სენად სდევდა წლიდან წლამდე, თაობიდან - თაობამდე. ახლა, ეტყობა, საქმე პირიქით მიდის. ყოველ შემთხვევაში, მიმდინარე გათამაშებაში თბილისელებმა სხვათა მინდვრებზე 3 თამაში ჩაატარეს და 5 ქულა აიღეს, შინ კი, თბილისში, ნათამაშები 5 მატჩში, რომელთაგან 2 წაგებულ იქნა, 2 ფრედ დამთავრებული და მხოლოდ 1 მოგებული. ტრადიციებს, რომელთა ხანგრძლიობა მეოთხედ საუკუნეს აღემატება, საფუძველი ერყევა, ამასთან, აშკარად არა ჩვენს სასარგებლოდ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ XXVII ჩემპიონატის მონაწილენი თბილისში ჩამოდიან ქულების საშოვნელად! სამწუხარო ამბავია.

ნათქვამის ნათელი ილუსტრაციაა გუშინწინდელი მატჩი დონეცკის “შახტიორთან”. დინამოელებმა უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და საპასუხო გოლი მიიღეს, რის შედეგადაც დაკარგულ იქნა მორიგი ქულა. ჩემპიონი არც 20 ივნისს ჰგავდა ჩემპიონს. თამაში თავიდანვე ვერ აეწყო. “შახტიორის” მრავალრიცხოვან დაცვაში გასვლა თბილისელ ფორვარდებს გაუჭირდათ. ისე, რომ პირველი დარტყმა კარში მოხერხდა მხოლოდ მე-15 წუთზე. მართალია, რამდენიმე წუთის შემდეგ ბარქაიას მოულოდნელმა დარტყმამ დაბლა კუთხეში მიზანს მიაღწია და ანგარიშიც გაიხსნა, მაგრამ შემდგომში თამაშს ისევ უფერული ხასიათი მიეცა და მხოლოდ ერთხელ აღმოხდა ტრიბუნებს ოხვრა, როცა მეტრეველმა ძელს მოახვედრა ბურთი.

46-ე წუთზე, ე.ი. როცა მეორე ტაიმი ის-ის იყო დაიწყო, სტუმრებს საჯარიმო დარტყმის უფლება მიეცათ “დინამოს” კარიდან დაახლოებით 35 მეტრის მანძილზე. ზუბკოვმა ბურთი კარისკენ გაგზავნა. სანამ იგი გაივლიდა ამ “მარათონულ დისტანციას”, კოტრიკაძეს ყველაფერი შეეძლო კარის სახსნელად, მაგრამ

დინამოელთა მეკარე არ აღმოჩნდა მზად და ნახტომი შეასრულა მხოლოდ მაშინ, როცა იგი უკვე უსარგებლო იყო - 1:1.

დარჩენილი 44 წუთი საკმარისი იყო საიმისოდ, რომ "დინამოს" გამოესწორებინა მდგომარეობა, მაგრამ თბილისელებმა უქმად გაატარეს დრო მოპირდაპირე ნახევარზე და არა თუ ვერ შეძლეს გოლის გატანა, კინაღამ საკუთარ კარში მიიღეს ბურთი: ჯერ ზუბკოვმა ააცილა იგი სულ მცირე მანძილით მიზანს, შემდეგ კი პილიპჩუკმა ძელს მოახვედრა ბურთი.

გ. შოთაძე.

"ლელო", 22 ივნისი, 1965 წ.

დამატებითი მონაცემები "სოვეტსკი სპორტიდან" 22.06.65